



# Tax and Legal Newsletter



## ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში

სექტემბრის თვეში საგადასახადო კანონმდებლობაში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ განხორციელებულა.

## სხვა საკანონმდებლო ცვლილებები

### მედიაციის შესახებ საქართველოს კანონი

საქართველოს პარლამენტმა 2019 წლის 18 სექტემბერს მესამე მოსმენიით მიიღო საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“. აღნიშნული კანონის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ჩვენს 2019 წლის აპრილის მიმოხილვაში. კანონის ამოქმედების თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 1 იანვარი.

### ცვლილებები სამოქალაქო საპროცესო კოდექსში

მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის მიღებასთან დაკავშირებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მიღებულ იქნა ცვლილებები, რომლებიც განსაზღვრავენ მოსამართლის აცილების დამატებით საფუძველს, ასევე წარმომადგენლის პროცესში მონაწილეობის შეზღუდვის წინაპირობებს, კერძოდ მოსამართლე ან წარმომადგენელი ვერ მიიღებს პროცესში მონაწილეობას, თუ ისინი მანამდე მონაწილეობდნენ დავასთან დაკავშირებით მიმდინარე მედიაციის პროცესში როგორც მედიატორები. ცვლილების მიხედვით, დგინდება სახელმწიფო ბაჟის ოდენობა სამედიაციო მორიგების უზრუნველყოფის ღონისძიების ან სამედიაციო მორიგების აღსრულების შესახებ განცხადებაზე, ასევე სარჩელებზე იმ კატეგორიის საქმეებზე, რომლებიც ექვემდებარება მედიაციას. ხდება

სასამართლო მედიაციის მიმართ გამოსაყენებელი ნორმების დადგენა, ასევე დავათა იმ სახეების ჩამოთვლა (რომელიც არ არის ამომწურავი), რომელზედაც შესაძლებელია სასამართლო მედიაციის გავრცელება და შესაბამისი უპირატესობებით (მათ შორის ნაკლები სახელმწიფო ბაჟის გადახდა) სარგებლობა. ამ დავათა რიგს მიეკუთვნა ქონებრივ-სამართლებრივი დავები, რომელთა ღირებულება არ აღემატება 20 000 ლარს, ხოლო საბანკო დაწესებულებების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის, აღნიშნული ზღვარი შემოიფარგლა 10 000 ლარით (მხოლოდ სესხის ან კრედიტის ხელშეკრულებების შემთხვევაში). ასევე შრომით სამართლებრივი დავები, საზიარო უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებული და არაქონებრივი დავებიც მიემატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მანამდე განსაზღვრულ იმ დავათა რიცხვს, რომლებიც ექვემდებარება სასამართლო მედიაციას. გარდა ამისა, ცვლილებებით დგინდება სასამართლო მედიაციის დასრულების შედეგები, ისევე როგორც მედიაციის პროცესში მიღებული მორიგების აღსრულების საკითხები. მიღებული ცვლილებები ამოქმედდება 2020 წლის 1 იანვრიდან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ 2019 წლის 20 სექტემბრის საქართველოს კანონით სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დაემატა არასრულწლოვნის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით სპეციალური რეგულაციები. ცვლილებები ამოქმედდება 2020 წლის 1 ივნისიდან. კანონის ძალაში შესვლის გადადება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ პროცესის მონაწილეები (ადვოკატები, მოსამართლეები, სოციალური მუშაკები ან სხვა სპეციალისტები) გადამზადდნენ არასრულწლოვანთან

ურთიერთობის მეთოდოლოგია და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში.

### ცვლილებები ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონში

მედიაციის შესახებ კანონის მიღებასთან ერთად შესაბამისი ცვლილება ამოქმედდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონში, კერძოდ აუდიტორს უწესდება შეზღუდვა, რომ შეასრულოს მედიატორის ფუნქცია, თუ იგი იმავე საქმეზე, ან იმავე საქმესთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე აუდიტორულ მომსახურებას უწევს/უწევდა მედიაციის მხარეს. ცვლილება ძალაში შედის 2020 წლის პირველი იანვრიდან, მას შემდეგ რაც მედიაციის შესახებ კანონი ამოქმედდება.

### საინტერესო სასამართლო პრაქტიკა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2019 წლის 15 ივლისს საინტერესო გადაწყვეტილება მიიღო საგადასახადო სამართლებრივ ურთიერთობაში გასაჩივრების ვადასთან დაკავშირებით (საქმე #ბს-866-862 (კ-17)).

საკითხი შეეხებოდა ისეთ შემთხვევას, როდესაც გადასახადის გადამხდელს საგადასახადო მოთხოვნა ჩაბრუნდა შემოწმების აქტის და დარიცხვის შესახებ ბრძანების გადაცემამდე. შესაბამისად სადავოს წარმოადგენდა ის, თუ რომელი აქტის ჩაბრუნებიდან უნდა დაწყებულიყო გადასახადის გადამხდელისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული გასაჩივრების ვადის დენა.

საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა სსიპ შემოსავლების სამსახურის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც საგადასახადო შემოწმების აქტი არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს

წარმოადგენს საგადასახადო მოთხოვნა, რომლის გამოცემის საფუძველები შემოწმების აქტის პროექტის ან უკვე დასრულებული შემოწმების აქტის წარდგენის გზით ცნობილია გადასახადის გადამხდელისათვის. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით საგადასახადო მოთხოვნა არის ძირეული დოკუმენტი, გადახდის მოთხოვნის საფუძველი, რომელთან ერთად შესაძლებელია საგადასახადო შემოწმების აქტისა და ბრძანების გასაჩივრება. შესაბამისად სასამართლომ აღნიშნა, რომ გასაჩივრების ვადის დენა იწყება საგადასახადო მოთხოვნის გაცნობის, ან კანონის მიხედვით ჩაბარებულად მიჩნევისთანავე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას არ დაეთანხმა საკასაციო პალატა, მოიშველია მანამდე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილებები და აღნიშნა, რომ გასაჩივრების უფლება მოიცავს პრეზიუმირებას იმისა, რომ პირისათვის ცნობილია აქტის შინაარსი, გასაჩივრება გულისხმობს აქტის გამოცემის მოტივების ცოდნას. გასაჩივრების ვადის ათვლა შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც პირს შეექმნება ობიექტური შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია აქტის შინაარსის შესახებ. პირს უნდა ჰქონდეს ფაქტზე რეაგირების ეფექტური, ქმედითი და არა ილუზორული მექანიზმი (სუსგ 06.10.2016წ. N ბს 770-762(კ-15)). საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების გაცნობის უფლება წარმოადგენს დაცვის უფლების გარანტიას. საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების კვალიფიციური გასაჩივრება შესაძლებელია მხოლოდ შემოწმების პროცესში გამოვლენილი დარღვევების დეტალური გაცნობის შემდეგ.

სასამართლომ აღნიშნა, რომ შემოწმების აქტი იძლევა გადაწყვეტილების ფორმალური მართებულობის შემოწმების შესაძლებლობას, მასში აისახება შემოწმების დროს გამოვლენილი გარემოებები, მაშინ როდესაც საგადასახადო მოთხოვნა მხოლოდ შეიცავს მითითებას გადასახდელი თანხის ოდენობის შესახებ და მასში არ არის აღწერილი თანხის დარიცხვის გარემოებები. ამრიგად, შემოწმების აქტი და ბრძანება იძლევა საგადასახადო მოთხოვნაში ასახული, გადასახდელად დარიცხული

თანხების სისწორის, დავალიანების წარმოშობის გარკვევის დადგენის შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლომ დამატებით მიუთითა საგადასახადო კოდექსის 61-ე და 268-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ ამ მუხლების ანალიზი ცხადყოფს, რომ საგადასახადო ორგანოს ეკისრება გადასახადის გადამხდელისათვის დარიცხვების შესახებ გადაწყვეტილებისა და საგადასახადო მოთხოვნის ერთობლივად გადაცემის ვალდებულება, რამეთუ საგადასახადო შემოწმების აქტი და მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება (ბრძანება) საჩივრდება ამ დოკუმენტების საფუძველზე გამოცემულ საგადასახადო მოთხოვნასთან ერთად. წინააღმდეგ შემთხვევაში პირის საჩივარი განხილვას უნდა დაექვემდებაროს დოკუმენტის მოგვიანებით ჩაბარებიდან კანონით გათვალისწინებულ ვადაში გასაჩივრების შემთხვევაში (სუს 06.10.2016წ. N ბს 770-762(კ-15)).

ის გარემოება, რომ გადაწყვეტილება საჩივრდება საგადასახადო მოთხოვნასთან ერთად ადასტურებს საგადასახადო ორგანოს ვალდებულებას ხსენებული აქტების ერთობლივ ჩაბარებაზე, მხოლოდ ასეთ

პირობებშია შესაძლებელი გასაჩივრების ვადის ათვლა საგადასახადო მოთხოვნის გაცნობიდან. საგადასახადო მოთხოვნა და ბრძანება საჩივრდება ერთად იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი კანონით დადგენილი წესით გადასახადის გადამხდელს ჩაბარდება ერთად.

სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ შემოწმების აქტისა და გადასახადის თანხის დაკისრების შესახებ ბრძანების გაცნობის გარეშე საგადასახადო მოთხოვნის წარდგენა და გასაჩივრების ვადის საგადასახადო მოთხოვნის წარდგენიდან ათვლა, გადასახადის გადამხდელს იძულებულს გახდის საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრების ვადის გასვლამდე სათანადო არგუმენტაციის გარეშე, ფორმალურად წარადგინოს საჩივარი და მისთვის ბრძანების ჩაბარების შემდგომ დაუროს შესაბამისი არგუმენტაცია.

## Contact information

bakertilly  
7 Bambis Rigi, 0105, Tbilisi.  
(+995 32) 2438 999

office@bakertilly.ge  
www.bakertilly.ge

This newsletter contains information about Legal, Tax and court practice latest updates. Every effort is made to provide accurate and complete information. However, Baker Tilly Georgia cannot guarantee that there will be no errors. These informational materials are not intended, and should not be taken, as legal or tax advice on any particular set of facts or circumstances. Please, contact our professionals for specific Tax or Legal issues.

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.